



უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით

2017

თბილისი



USAID
ამერიკელი საზღვარგარეთის
დახმარების სააგენტო



UDM
დემოკრატიული ინიციატივა
UNION OF DEMOCRAT MESKHS



საქართველოს
რეგიონული
კავშირები

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

წინამდებარე ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მიერ დაფინანსებული პროექტის „უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა “დემოკრატი მესხთა კავშირთან” (UDM) და საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციასთან (GRMA) პარტნიორობით.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

ანგარიშზე მუშაობდნენ:

ედუარდ მარიკაშვილი

მაია გიგინეიშვილი

© საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

<http://gdi.ge>

სარჩევი

პროექტის შესახებ.....	5
ეთნიკური უმცირესობების პრობლემები	6
ა. ეთნიკური უმცირესობების ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან	6
ბ. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის შეფერხება საზოგადოებაში ენობრივი ბარიერის გამო.....	6
გ. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა საარჩევნო პროცესში.....	7
სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაცია	7
ა. სოფელ მოხეში სადავოდ გამხდარი ყოფილი მეჩეთის შენობა	8
ბ. თეონა ბერიძის საქმე.....	9
გ. იური ჯიმშერაძის საქმე	10
ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა	10
ქალთა უფლებები.....	11
ა. ოჯახში ძალადობა	11
ბ. სამართალდამცავი ორგანოების მიდგომა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე	12
გ. ადრეული ქორწინება.	12
დ. ქალი და საკუთრების უფლება.....	12
პროექტის ფარგლებში მომზადებული საკონსტიტუციო სარჩელები.....	13
ა) საკონსტიტუციო სარჩელი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.....	13
ბ) საკონსტიტუციო სარჩელი “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების კონსტიტუციურობის შესახებ.....	14
გ) საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს ორგანულ კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 63-ე მუხლის მე-19 პუნქტისა და 65-ე მუხლის მეორე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის შესახებ	15
დ) საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და 120-ე მუხლის მე-10 ნაწილების კონსტიტუციურობის თაობაზე - სამართლიანი სასამართლოსა და თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლებასთან მიმართებით.....	15

რეკომენდაციები	16
საკანონმდებლო წინადადებები.....	17
1. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული დისკრიმინაციული ნორმის შესახებ	17
2. „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ დისკრიმინაციული ნორმის/ნორმების არსებობა.....	20
3. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში დისკრიმინაციული ნორმის არსებობა	23
საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.....	27
განმარტებითი ბარათი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით	28

პროექტის შესახებ

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე “საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ” (GDI) “დემოკრატ მესხთა კავშირთან” (UDM) და საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციასთან (GRMA) პარტნიორობით „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) PROLoG, და USAID ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელა პროექტი „უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით“, რომელიც მიზნად ისახავდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის გაუმჯობესებას და მათი ცნობიერების ამაღლებას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოჩენილია პროექტის განხორციელების დროს თანასწორობის კუთხით გამოკვეთილი პრაქტიკული ხასიათის პრობლემები და შემოთავაზებულია მათი მოგვარების გზები. დოკუმენტში ასევე ასახულია ინფორმაცია საკონსტიტუციო სარჩელების შესახებ და ის საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ პროექტის ფარგლებში მოამზადა.

ანგარიშის მომზადებას წინ უძღოდა GRMA-ს კოორდინირებით ჩატარებული შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან, რომლებიც გაიმართა: გორში, ახალციხეში, ოზურგეთში, ბათუმში, რუსთავსა და მარნეულში. გარდა ამისა, UDM-ს იურისტების მიერ ინტენსიურად ხორციელდებოდა გასვლითი კონსულტაციები ახალქალაქის, ახალციხის, მათ შორის ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში. ფოკუს ჯგუფებში წარმოდგენილი იყვნენ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, რეგიონული მედია, არასამთავრობო სექტორი. შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. პროექტის ფარგლებში გაიმართა ფოკუს ჯგუფებთან 6, სოფლებში გასვლითი 42 შეხვედრა. სულ გაიცა 1477 უფასო იურიდიული კონსულტაცია.

ზემოაღნიშნული საქმიანობის შედეგად გამოკვეთილ, ძირითადად კანონის წინაშე თანასწორობის პრობლემებზე, სტრატეგიული სამართალწარმოების მიმართულებით GDI-ის იურისტების მიერ მომზადდა საკონსტიტუციო სარჩელები, კერძოდ: მოსარჩელები რომელთაც საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოადგენს GDI ითხოვენ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსში” და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში არსებული დისკრიმინაციული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას. ახალციხის ოფისის იურისტის მიერ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული ბენეფიციარისთვის დახმარების პროცესში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში იდენტიფიცირებული იქნა არაკონსტიტუციური ნორმები, რომელთა შესახებ მომზადდა და საკონსტიტუციო სასამართლოს წარედგინა სარჩელი. (იხ. გვ.10–11)

გარდა უფასო იურიდიული მომსახურებისა საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის (GRMA) გამოცემებში, სადაც ერთიანდება ორმოცამდე რეგიონული მედია საშუალება, GDI-ის იურისტები ბენეფიციართათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ყოველთვიურად ანთავსებდნენ იურიდიულ კონსულტაციებს, რომლის მიწოდებაც შესაძლებელი იყო როგორც გაზეთების ასევე ონლაინ, საინფორმაციო სააგენტოების გამოყენებით.

ეთნიკური უმცირესობების პრობლემები

ა. ეთნიკური უმცირესობების ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც პროექტის განხორციელებისას გამოიკვეთა, არის სახელმწიფო ენის ცუდი ცოდნა, გარკვეულ შემთხვევებში, არ ცოდნა, რაც სერიოზულად აბრკოლებს ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობას თემის ცხოვრებაში. როგორც წესი, რეგიონებში მოსახლე ეთნიკური უმცირესობები სათანადოდ ვერ ფლობენ ქართულ ენას, რაც იწვევს მათ საინფორმაციო იზოლაციას და ართულებს მათ ურთიერთობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და დაწესებულებებთან, სადაც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო ენაზე ხორციელდება. ამ პრობლემაზე მიანიშნებს პარტნიორ ორგანიზაციის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების შინაარსიც. „დემოკრატი მესხთა კავშირის“ მხოლოდ ახალქალაქის ფილიალის იურისტი 139 ბენეფიციარს დაეხმარა სახელმწიფო უწყებებისთვის წარსადგენი განცხადების შედგენაში. იურისტის ცნობით განცხადებების შედგენაში დასახმარებლად მიმართვის მიზეზი, საკითხის იურიდიულ შინაარსთან ერთად, ქართული ენის სათანადო არცოდნის პრობლემა იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირი ვალდებულია, ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც არასახელმწიფო ენაზეა შედგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის სახით წარადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში. აღნიშნული წესი დამატებით პრობლემებს უქმნის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ვინაიდან საკუთარი სახსრებით დოკუმენტების თარგმნისა და ნოტარიული დამოწმების უზრუნველყოფა მათთვის მნიშვნელოვან ხარჯებთან და გაჭიანურებულ წარმოებასთან არის დაკავშირებული.

საკითხის გადაჭრის მიზნით პროექტის ფარგლებში მომზადდა კანონპროექტი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე (იხ. ქვევით).

ბ. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის შეფერხება საზოგადოებაში ენობრივი ბარიერის გამო

კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიქელწყარო, ფერმა, ალაიანი და ხიდისყური მოსახლეობის უმრავლესობა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელია. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა თქმით, ქართული ენის არცოდნა განსაკუთრებით აისახება აღნიშნული თემის წარმომადგენელი ახალგაზრდების სასწავლო პროცესში მონაწილეობაზე, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებში მხოლოდ ეთნიკურად ქართველი მასწავლებლები ასწავლიან, რომლებიც არ ფლობენ აზერბაიჯანულს.

რაც შეეხება კასპის მუნიციპალიტეტის სომხურენოვან მოსახლეობას, მათთვის ფუნქციონირებს სომხური სკოლები, თუმცა აქ ინტეგრაციის პრობლემა სხვა კუთხით დგას - აღნიშნულ სკოლებში სწავლა ნაწილობრივ სომხური სასკოლო მასალით მიმდინარეობს, ხოლო სახელმწიფო ენის სწავლება არასათანადოდ ხორციელდება, რის გამოც სომხური თემის წარმომადგენლებიც ვერ ახერხებენ დანარჩენ მოსახლეობასთან სრულფასოვან ინტეგრირებას.

ისევე, როგორც სხვაგან, ენობრივი ბარიერის პრობლემაზე ისაუბრეს ქ. რუსთავის

არაქართული ეთნოსის წარმომადგენლებმაც და აღნიშნეს, რომ ქართულის არცოდნა მნიშვნელოვნად ართულებს მათ ურთიერთობას საჯარო დაწესებულებებთან.

სოფელ ყარაჯალაში შეხვედრისას ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები აპელირებდნენ ინფორმაციულ ვაკუუმზე, რომელიც ასევე გამოწვეულია სახელმწიფო ენის არცოდნით. მათი განცხადებით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ვერ უყურებს ქართულ არხებს და ვერ კითხულობს ქართულ პრესას. ქართული ენის არასათანადოდ ცოდნის გამო აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი ახალგაზრდები ვერ აბარებენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში და ვერ ახდენენ სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში. მათი თქმით, პრობლემის სათავე ბაგა-ბაღიდან იწყება, სადაც მასწავლებლები ბავშვებს არ ასწავლიან ქართულს და აზერბაიჯანულად ესაუბრებიან. ეს უკანასკნელი საკითხი სათანადო კვლევას და შესაბამისი ორგანოს რეაგირებას საჭიროებს.

პროექტის განხორციელებისას ახალქალაქის ოფისის იურისტის მიერ სამართლებრივი დახმარება გაეწია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალს, რომელსაც ალიმენტის მოთხოვნის საქმის წარმოებისთვის ესაჭიროებოდა სახელმწიფო ენის მცოდნე იურისტის დახმარება. სასამართლო სამართალწარმოების შედეგად შეწყდა ქორწინება და მეუღლეს ორი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა. ასევე, ახალქალაქის ოფისის იურისტს მიმართეს ახალშობილის მშობლებმა, რომლებიც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ვერ ახერხებდნენ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსთან სათანადო კომუნიკაციას ახალშობილისთვის ერთჯერადი დახმარების მისაღებად. კვალიფიციური წარმომადგენლობის შედეგად მათ შეძლეს კუთვნილი, ერთჯერადი დახმარების მიღება.

გ. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა საარჩევნო პროცესში

2016 წლის მარტში გამართულ შეხვედრაზე კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწყაროს აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებმა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრისას განაცხადეს, რომ ბოლო არჩევნების დროს მათთვის საარჩევნო ბიულეტენები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი, მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქართულად ვერ კითხულობს.

მისასაღმებელია, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ერთეულებისთვის ბიულეტენების და სხვა მასალის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდებას უზრუნველყოფს, თუმცა სამწუხაროა, რომ მათ რიცხვში დღემდე არ ხვდება კასპის #39-ე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელი მიქელწყარო. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 სექტემბრის N355/2012¹ და 2016 წლის 29 სექტემბრის N502/2016² განკარგულებები არჩევნების ბიულეტენების ტესტების დადგენის შესახებ.

სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაცია

პროექტის მიმდინარეობისას გამოვლინდა რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის

¹ <http://cesko.ge/res/old/other/12/12241.pdf>

² <http://cesko.ge/res/docs/CG502.pdf>.

რამდენიმე შემთხვევა, რომელთა თაობაზეც „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ იურისტებმა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები შეიმუშავეს.

ა. სოფელ მოხეში სადავო დამცველი ყოფილი მეჩეთის შენობა

2016 წლის 21 ოქტომბერს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წარმომადგენლები შეხვდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის მუსლიმი თემის წევრებს, რომლებიც ყოფილი მეჩეთის შენობის მათთვის დაბრუნებას ითხოვენ.

მოხეში ვიზიტს წინ უძღვოდა მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2016 წლის 14 ოქტომბერს, დაახლოებით 14:00 საათზე, ადიგენში, სოფელ მოხეში, სამართალდამცავებმა სოფლის ცენტრში მდებარე სადავო შენობის კარი აჭედეს, სადაც ადგილობრივი მუსლიმები ოთხი დღის განმავლობაში ლოცულობდნენ. მუსლიმ მოქალაქეთა განცხადებით, კარის აჭედვის შემდეგ, ღია ცის ქვეშ, სადავო შენობის მახლობლად ლოცულობენ, რაც შენობის ბედის საბოლოო გადაწყვეტამდე გაგრძელდება.

სახელმწიფო (როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი ხელისუფლება), ერთი მხრივ, სისტემატურად მატერიალურად ახალისებს დომინანტ რელიგიურ ჯგუფს, რაც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ლარის ოდენობის თანხისა და უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემაში გამოიხატება, ხოლო მეორე მხრივ, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს თანასწორობის უზრუნველყოფის სამართლიან მოთხოვნაზე უარით ან საკითხის გადასაწყვეტად პროცედურების მომიზეზებით დროში უსასრულოდ გაჭიანურებით პასუხობს.

ის, რომ მოხეს სადავო შენობის წარმომავლობის დადგენა აშკარა დისკრიმინაციული მიდგომის შედეგია, თვალნათლივ ჩანს იმ გარემოებითაც, რომ სადავო შენობიდან რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს, 2009 წელს, უფასო უზუფრუქტის უფლებით, მფლობელობასა და სარგებლობაში გადასცა ძველი პანსიონატის შენობა (საკადასტრო კოდი N61.01.21.001), ხოლო 2014 წელს იქვე მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 61.01.21.050), რომელზეც დღესდღეობით მართლმადიდებელი ეკლესიის შენობაა განთავსებული, 1 ლარად მიჰყიდა.

სოფელ მოხეში სადავო შენობასთან დაკავშირებული პირველი ინციდენტი 2014 წელს მოხდა, რაც უკავშირდებოდა ადიგენის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებას ყოფილი მეჩეთის შენობის, რომლის გადაცემასაც მუსლიმი თემი წლების მანძილზე უშედეგოდ ითხოვდა, კულტურის ცენტრად გადაკეთების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სადავო შენობა 2007 წლიდან ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, 2014 წლის ინციდენტის შემდგომ შენობის წარმომავლობის საკითხის დადგენა ცენტრალური ხელისუფლების ორგანომ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ითავა და „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისია“ შექმნა.

2016 წლის 01 დეკემბერს³ გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ მუსლიმი თემისთვის შეთავაზებული იქნება რამდენიმე ადგილი სოფელ მოხეს ცენტრში ახალი მეჩეთის მშენებლობისათვის, რითაც მოიხსნება ლოცვის პრობლემა, ხოლო ახალი მეჩეთისათვის

³ <http://religion.geo.gov.ge/geo/news/1-dekembris-moxes-komisia>

ადგილის შერჩევასა და მუსლიმთა სამმართველოსათვის ადგილის გადაცემის შემდეგ, ე.წ. მოხეს შენობას მიენიჭება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, სავარაუდოდ სახელწოდებით „სადავო საკულტო ნაგებობა“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის N177-ე დადგენილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“⁴ მეორე მუხლში გაწერილია სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები. აღნიშნული დებულების მიხედვით სააგენტოს მიერ კომისიის შექმნა სცდება მის უფლებამოსილებათა ფარგლებს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ბ. თეონა ბერიძის საქმე

თეონა ბერიძის მიმართ სკოლის დირექტორის მხრიდან დისკრიმინაციული ქმედებების განხორციელების შესახებ მოხის ადგილობრივმა მკვიდრმა 2016 წლის 22 დეკემბერს გვაცნობა. მეორე დღეს, 2016 წლის 23 დეკემბერს, ინტერნეტ-გამოცემა „სამხრეთის კარიბჭემ“ გაავრცელა დეტალური ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. მოხის საჯარო სკოლის დირექტორმა ნათია რეხვიაშვილმა მეთორმეტე კლასში მისაღებად თეონა ბერიძეს თავსაფრის მოხდა მოსთხოვა, რომელსაც გოგონა თავისი რელიგიური კუთვნილებიდან გამომდინარე ატარებდა. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული ინციდენტი მოხდა სოფელ მოხეში, რომელიც მუსლიმი თემის დისკრიმინაციის გამო არაერთხელ გამხდარა ყურადღების საგანი.

მოხის საჯარო სკოლის მოსწავლეების განმარტებით ირკვევა, რომ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზოგადად ამჟღავნებს უარყოფით დამოკიდებულებას მუსლიმი მოსწავლეების მიერ მათი რელიგიის ამა თუ იმ ფორმით გამოვლენის მიმართ. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დირექტორი მოუწოდებდა მუსლიმ მოსწავლე ბიჭებს, არ წასულიყვნენ პარასკევის ჯუმის ლოცვაზე. დირექტორი მოსწავლეების მსგავს ქმედებას სკოლის რეპუტაციის შეურაცხყოფად მიიჩნევდა. თეონა ბერიძისთვის თავსაფრის ტარების აკრძალვამდე რამდენიმე კვირით ადრე, დირექტორმა ნათია რეხვიაშვილმა მე-11 კლასელ გოგონას, რომელსაც თავსაფარი ეფარა, მიუთითა, მოეხსნა იგი; სხვა მუსლიმი მოსწავლე გოგონების თქმით, ისინი, დირექციასთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, თავს იკავებდნენ სკოლის ტერიტორიაზე თავსაბურავის ტარებისგან.

მოცემულ შემთხვევაში ადიგენის რაიონის სოფელ მოხის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნათია რეხვიაშვილის (რომელიც სკოლას წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში) მიერ სკოლაში რელიგიური სამოსის ტარების აკრძალვა, წინააღმდეგობაში მოდის როგორც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე საქართველოს კონსტიტუციასთან და არღვევს თეონა ბერიძისათვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას, ატაროს რელიგიური სამოსი. ამავდროულად, ხსენებული ქმედება დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რადგან თეონა ბერიძე არახელსაყრელ

⁴<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2253315>;

მდგომარეობაში ექცევა, ერთი მხრივ, იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც საკუთარი რწმენისა თუ რელიგიური შეხედულებების გამო რელიგიურ სიმბოლოებს (სამოსს) ისედაც არ ატარებენ სკოლაში და მეორე მხრივ, იმ (განსხვავებული აღმსარებლობის მქონე) პირებთან მიმართებაში, რომლებიც შესაძლოა ატარებენ ან სურთ, რომ ატარონ რელიგიური სიმბოლოები, მაგრამ მათ მიმართ აკრძალვის გამოყენება არ დაფიქსირებულა.

“საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა” სამართლებრივ დახმარებას უწევს მოსწავლეს. დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით მივმართეთ საქართველოს სახალხო დამცველს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის თაობაზე.

გ. იური ჯიმშერაძის საქმე

2016 წლის აგვისტოს თვეში „დემოკრატ მესხთა კავშირის“ ახალციხის ფილიალის იურისტებს იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ადიგენის რაიონში მცხოვრებმა მუსლიმი თემის წარმომადგენელმა იური ჯიმშერაძემ. მისი განცხადებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანომ - ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რელიგიური კუთვნილების გამო, კანონის მოთხოვნათა დარღვევით უარი უთხრა მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარებაზე. კომისიამ ჯიმშერაძის მოთხოვნა განიხილა განმცხადებლის დაუსწრებლად და არ დააკმაყოფილა.

„დემოკრატ მესხთა კავშირის“ იურისტების დახმარებით ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ბათილად ცნო ადმინისტრაციული აქტი და ადიგენის მუნიციპალიტეტს ახალი აქტის გამოცემა დაავალა.

ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა

ქალაქ ახალციხეში და ოზურგეთში ე.წ. მუსლიმმა მესხებმა ისაუბრეს მათ პრობლემებზე და გულისტკივილი გამოთქვეს, რომ სახელმწიფო მათ უქმნის ხელოვნურ ბარიერებს საქართველოში მშვიდი და სრულუფლებიანი ცხოვრების გზაზე. მათი პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს პარლამენტმა 2007 წელს მიიღო რეპატრიაციის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც გულისხმობს ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციას. მათ რიცხვში ხვდებიან ე.წ. მუსლიმი მესხებიც. მათი თქმით, გაუმართლებელია რეპატრიანტის სტატუსის მიღების შემდეგ გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებაზე 2 წლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწესება.

მნიშვნელოვან პრობლემები ექმნებათ ასევე რეპატრიანტი საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ქორწინების შემთხვევაში. მეუღლეებს, რომელთაგან ერთ-ერთს არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა, უწევთ სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრება. უცხო ქვეყნის მოქალაქე მეუღლეს არ აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს და გამარტივებული წესით მიიღოს

საქართველოს მოქალაქეობა.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ რეპატრაციის შესახებ კანონი არ ადგენს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებაზე უარის გასაჩივრების მექანიზმებს.

ქალთა უფლებები

პროექტის განხორციელებამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რომ საქართველოში დღემდე სერიოზულ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხი. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა გენდერული ნიშნით არსებულ პრობლემებზე, ქალთა უფლებებსა და მათ დაცულობაზე.

ა. ოჯახში ძალადობა

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემა, საქართველოს დანარჩენი რეგიონების მსგავსად, ამ რეგიონებშიც მწვავედ დგას. აღნიშნული უკავშირდება პოლიციის მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე არასათანადო რეაგირებას, რაც, ამავდროულად, განაპირობებს მსხვერპლის უნდობლობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მსხვერპლის დაუცველობას მოძალადისგან და ამ უკანასკნელის რეაბილიტაციის შეუძლებლობას.

ქალაქ რუსთავში, დისკუსიაში მონაწილე მხარეებმა ისაუბრეს ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობაზე და აღნიშნეს, რომ მათ რეგიონში არ მოქმედებს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები - დროებითი განთავსების ადგილები, რომლებიც მოძალადის რეაბილიტაციას ემსახურება, ახორციელებს კრიზისულ ინტერვენციასა და სამედიცინო დახმარებას. მათივე თქმით, ხშირია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ოჯახში ძალადობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და მოძალადეთა დაუსჯელად დატოვების შემთხვევები.

ქ.გორში შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლი ქალები თავს არიდებენ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას მოძალადისთვის ფინანსური სახდელის დადების შიშით, რაც შემდეგ ისევ მათი ოჯახის ბიუჯეტს აწვება ტვირთად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ოჯახში ძალადობაზე კრძალავს სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენებას. თუმცა, ბენეფიციარების განმარტებით პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტზე მოძალადეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ) 173-ე მუხლით⁵, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის, აძლევს პასუხისგებაში, რაც ხშირ შემთხვევაში მოძალადისთვის სახდელის სახით ჯარიმის

⁵ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა) –გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

დაკისრებით მთავრდება. პოლიციის მხრიდან მსგავსი მიდგომის გამოყენება აზრს უკარგავს სისხლის სამართლის კოდექსის ჩანაწერის მიზანს, ოჯახში ძალადობაზე სასჯელად ჯარიმის გამოყენების აკრძალვაზე, რაც უნდა ემსახურებოდეს სწორედ იმას, რომ მოძალადის მიმართ ფინანსური სახდელი გამოყენება არ უნდა ქმნიდეს იმავე ოჯახისთვის დამატებითი ვალდებულებების გაჩენის საფრთხეს.

ბ. სამართალდამცავი ორგანოების მიდგომა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე

როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად პოლიცია მოძალადეს კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის აკავებს. მნიშვნელოვანი საკითხები გამოიკვეთა ქ.გორში შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებთან ოჯახში ძალადობის, თუ სხვა სახის ოჯახური დავების (მამობის დადგენა, ალიმენტის გადახდისგან თავის არიდება და სხვა) საკითხებზე მსჯელობის ფარგლებში. შემაშფოთებელი ტენდენცია გამოიკვეთა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში მოძალადე მამაკაცებთან მიმართებით. შეხვედრის მონაწილეთა მტკიცებით, მოძალადეთა დიდი უმრავლესობა ძალოვანი სტრუქტურების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო) თანამშრომლები არიან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქალთა მიმართვიანობას შესაბამისი ორგანოებისადმი. ეს გარემოება ხაზს უსვამს იმასაც, რომ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სამართალდამცავების მგრძობელობა ოჯახში ძალადობის ფაქტების მიმართ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის ცალკე კვლევის საგნად შეიძლება იქცეს.

გ. ადრეული ქორწინება პროექტის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ საქართველოში კვლავ აქტიურად დგას ნაადრევი ქორწინების პრობლემა. ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახში ძალადობის პრობლემასთან.

ქ. მარნეულში შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორებიცაა: ნაადრევი ქორწინება და სოფლის უზუცესების – აღსაკალების ინსტიტუტი, რომლებიც განიხილავენ და წყვეტენ საზოგადოებრივ და საოჯახო პრობლემებს, მათ შორის, ნაადრევი ქორწინების საკითხსაც.

ადრეული ქორწინების მიზეზების და მასშტაბების შესასწავლად სიღრმისეული კვლევაა ჩასატარებელი. მიზეზი შეიძლება იყოს დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემის მიმართ საზოგადოების და შესაბამისი ორგანოების გულგრილი დამოკიდებულება, ცნობიერების დაბალი დონე, ეთნიკური ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, ეკონომიკური სიღუბნით დაკავშირებული ღირსების შემლახავი და არაჰუმანური ადათ-წესები და სხვა.

დ. ქალი და საკუთრების უფლება

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში მუსლიმი თემის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ქალი ძირითადად არ განიხილება, როგორც მემკვიდრე და ისინი იშვიათად აცხადებენ პრეტენზიას მემკვიდრეობიდან წილის მიღებაზე. თემის ტრადიციებიდან გამომდინარე, ქალის მხრიდან სამკვიდრო წილის მოთხოვნის შემთხვევაში, ქალს ეკუთვნის იმ წილის ნახევარი რასაც მემკვიდრეობით მიიღებს მამაკაცი. მუსლიმი თემის წარმომადგენლების განცხადებით, მათ არ ახსენდებათ ფაქტი, რომ ქალს პრეტენზია გამოეთქვას სამკვიდროსთან დაკავშირებით, რადგანაც, მათი თქმით, ქალი

როდესაც თხოვდება, მას ატანენ ე.წ. მზითვებს.

საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემებით, 2010-2014 წლებში ქვეყანაში საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე სულ 131 9155 ფიზიკური პირის მიერაა რეგისტრირებული. მათგან 743888 კაცია (56.4%) და 575267 - ქალი (43.6%). ქალები საკუთრების უფლების რეგისტრაციის რაოდენობით თითქმის ყველა რეგიონში ჩამორჩებიან კაცებს, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კი ეს მაჩვენებელი მინიმალურია (მაგალითად, დმანისში, ბოლნისში, მარნეულში, ხულოში, ლენტეხში, შუახევში, წალკაში, მესტიაში, გურჯაანსა და ყვარელში)⁶.

2016 წლის მონაცემებით, 2016 წლის პირველ კვარტალში უძრავი ქონების საკუთრებაზე განხორციელებული 80971 რეგისტრაციიდან 52,8% კაცებს ეკუთვნის, 47,2% კი - ქალებს⁷, თუმცა მოცემული მონაცემებით ქალები კვლავ უმცირესობაში არიან მარნეულში, ბოლნისში, დედოფლისწყაროში, თიანეთში, დუშეთში, გურჯაანში, ონში, ლაგოდეხში და საგარეჯოში. აღსანიშნავია, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის მონაცემები საერთოდ არ არის მითითებული. ასევე, საჯარო რეესტრის მონაცემებით არ დგინდება ქონებაზე უფლების რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძველი (მემკვიდრეობა, თანასაკუთრება და სხვა).

პროექტის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის ახალქალაქის ფილიალის იურისტი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალს, არფიკ დარბინიანს, დაეხმარა მემკვიდრეობის მიღების პროცესში. ამ ეტაპზე დოკუმენტები გადაცემულია ნოტარიუსისთვის სამკვიდრო მოწმობის მიღების მიზნით. ასევე, ეთნიკურად სომეხ ბენეფიციარ ქალს, ჰაიკანუმ ღარიბიანს, გაეწია დახმარება მის მფლობელობაში არსებული, თუმცა სახელმწიფოს ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონების, მიწის, რეგისტრაციაში. ახალქალაქის ფილიალის იურისტის აქტიური დახმარებით ქონების მართვის სააგენტო დათანხმდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის ღარიბიანისთვის გადაცემაზე. ამ ეტაპზე საჯარო რეესტრში მიმდინარეობს ქონების რეგისტრაციის წარმოება.

პროექტის ფარგლებში მომზადებული საკონსტიტუციო სარჩელები

ა) საკონსტიტუციო სარჩელი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

2016 წლის 21 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა ახალქალაქში მცხოვრები სომხეთის მოქალაქეების საკონსტიტუციო სარჩელი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” საქართველოს კანონში იმ ჩანაწერის (მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის “ა” ქვეპუნქტი) არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსის მოპოვების უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ. მოსარჩელების ინტერესს საკონსტიტუციო სასამართლოში იცავს “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა”. მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ

⁶<https://napr.gov.ge/p/1078>;

⁷<https://napr.gov.ge/p/1389>;

კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს არსებითად თანასწორ პირებს – საქართველოს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ამ უკანასკნელთ, არაკონსტიტუციური ჩანაწერი ლეგიტიმური მიზნის გარეშე ართმევს შესაძლებლობას ისარგებლონ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები სტატუსის მქონე პირებისთვის დაწესებული ბენეფიტებით. ეს გარემოება კი წინააღმდეგობაში მოდის თვითონ კანონის მიზნებთან, რაც გულისხმობს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობას, არამედ ზოგადად მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარების ხელშეწყობას მიუხედავად მათი მოქალაქეობისა.

ბ) საკონსტიტუციო სარჩელი “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების კონსტიტუციურობის შესახებ.

პროექტის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაცია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან (TDI) ერთად მომზადდა საკონსტიტუციო სარჩელი, რომელიც მიზნად ისახავს “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში დისკრიმინაციული ჩანაწერების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 21-ე მუხლებით გარანტირებული კანონის წინაშე თანასწორობისა და საკუთრების უფლებასთან მიმართებით. ჩვენი მოსაზრებით სადავო ნორმები

1) (მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს, განსხვავებით ა(ა)იპ-ად რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციებისგან, შესაძლებლობას ართმევს პრივატიზების გზით შეიძინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება, ასევე მათ ეზღუდებათ შესაძლებლობა გაუცვალონ ქონება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას (დისკრიმინაცია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით). მიგვაჩნია, რომ რელიგიური ორგანიზაცია მიუხედავად მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმისა არსებითად თანასწორ პირებად უნდა განიხილებოდნენ;

2) სადავო ნორმების (მე-3 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების) თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია შეიძლება იყოს რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების შემძენი. ხოლო, რელიგიური ორგანიზაციებიდან, ქონება უსასყიდლოდ შეიძლება გადაეცეს, მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. შესაბამისად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია უპირატეს მდგომარეობაშია სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან (ეკლესიებთან) მიმართებით (დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით).

3) მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმები ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას, კერძოდ სახეზეა მოსარჩელეთა საკუთრების უფლების შეზღუდვა, მათ არ აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ (მოიპოვონ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება, რაც თავის მხრივ აზრს უკარგავს უფლების შემდგომ დაცვას.

გ) საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს ორგანულ კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 63-ე მუხლის მე-19 პუნქტისა და 65-ე მუხლის მეორე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის შესახებ

პროექტის ფარგლებში მომზადებულია საკონსტიტუციო სარჩელი მიმართული საარჩევნო პროცესში მოწყვლადი ჯგუფის - დევნილების უფლებების გაუმჯობესებისკენ. მიგვაჩნია, რომ სადავო ნორმები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ საარჩევნო ხმის მიცემის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონული პირადობის მოწმობით, ლეგიტიმური მიზნის გარეშე აკისრებს გაუმართლებელ ვალდებულებას საუბნო საარჩევნო კომისიას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პირადობის მოწმობასთან ერთად წარუდგინონ დევნილის მოწმობა.

დ) საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და 120-ე მუხლის მე-10 ნაწილების კონსტიტუციურობის თაობაზე - სამართლიანი სასამართლოსა და თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლებასთან მიმართებით.

სარჩელის დავის საგნის იდენტიფიცირება და სარჩელზე მუშაობა შესაძლებელი გახდა "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" (GDI) და "დემოკრატ მესხთა კავშირის" (UDM) ერთობლივი საქმიანობის შედეგად. მოსარჩელე, ტიტკო ჩორგოლიანს, სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენდა UDM-ს იურისტი.

საქმე ეხება სისხლის სამართლის პროცესში კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის და დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულებების ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლებას. სარჩელის წარდგენისას ორივე უფლებით მხოლოდ ბრალდების მხარე სარგებლობდა, რაც ჩვენი აზრით არღვევდა სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედს სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპს. ხოლო, მეორე შემთხვევაში, პროკურორის მიერ დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევისას არსებობს ბრალდებულის თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლებას. საქმეზე არსებითი განხილვა გაიმართა 2017 წლის 10-11 თებერვალს.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილის გარკვეული შინაარსი უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, დაცვის მხარეს მიეცა უფლება სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

თუმცა როგორც საქმის არსებითი განხილვის პროცესში გამოიკვეთა მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა პრაქტიკაში ამ კუთხით კვლავ არსებობს ხარვეზები, რისი აღმოფხვრის შესაძლებლობაც წინამდებარე სარჩელზე მსჯელობის ფარგლებში კვლავ მიეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს.

რეკომენდაციები

- ხელისუფლებამ მოხის სადავო მეჩეთთან დაკავშირებით უნდა განახორციელოს თანმიმდევრული და არადისკრიმინაციული პოლიტიკა, რაც მიმართული იქნება ქვეყანაში რელიგიური უმცირესობების ინტერესების დაცვისა და გათვალისწინებისკენ;
- საქართველოში მცხოვრები უმცირესობების პრობლემის, ენობრივი ბარიერის, აღმოსაფხვრელად, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში, პროექტის ფარგლებში GDI-ს მიერ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ დოკუმენტი (დეტალურად იხილეთ ქვევით). მნიშვნელოვანია, დისკუსიის დაწყება საქართველოს მთავრობის, პარლამენტის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებების გატარება.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოს უმცირესობებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა;
- განხორციელდეს ცვლილებები ”ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რათა შესაძლებელი გახდეს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება.
- ვინაიდან ოჯახში ძალადობის გამომწვევი ერთ–ერთი ფაქტორი არის ეკონომიკური მდგომარეობა, სამართალდამცავებმა და სასამართლომ მსგავსი შემთხვევებში მოძალადის მიმართ უნდა გამოიყენონ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ისეთი ზომები, რაც გამორიცხავს მსხვერპლისთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობის და ზოგადად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების რისკს.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაააქტიუროს საქმიანობა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით პოლიციელთა ცნობიერების და მათი მგრძობიანობის ამაღლების კუთხით; ასევე, გააქტიურდეს პროცესი ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კუთხით, როგორც ზოგადად სასწავლო დაწესებულებებში, ასევე კონკრეტული თემის წარმომადგენლებთან უშუალო კომუნიკაციის გზით;

საკანონმდებლო წინადადებები

პროექტის ფარგლებში მომზადდა რამდენიმე საკანონმდებლო წინადადება, რომელთა მიზანია საქართველოს კანონმდებლობიდან დისკრიმინაციული ნორმების აღმოფხვრა.

პროექტის განხორციელებისას პარტნიორი ორგანიზაციის „დემოკრატი მესხთა კავშირის“ ბენეფიციარებს, რომლებიც არიან ახალქალაქში მცხოვრები სასომხეთის მოქალაქეები შეექმნათ პრობლემა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. პრობლემა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზით არის განპირობებული, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აძლევს უფლებას მიიღოს აღნიშნული სტატუსი. ჩვენი აზრით, აღნიშნული ჩანაწერი არის დისკრიმინაციული ხასიათის და ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გარანტირებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. კანონის არაკონსტიტუციური ჩანაწერი ჩვენს მიერ გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ასევე, მომზადდა კანონპროექტი (იხ. ქვევით).

„საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას“ კონსულტაციისთვის მომართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილმა საქართველოს მოქალაქემ, რომელმაც განაცხადა, რომ პრობლემა შეექმნა არჩევნებზე ხმის მიცემის დროს, რადგანაც ვერ შეძლო საარჩევნო უბანზე წარედგინა დევნილის მოწმობა პირადობის მოწმობასთან ერთად, რასაც საარჩევნო კანონმდებლობა ავალდებულებს. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული საკითხი, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ჩანაწერი არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ისეთ მოწყვლად ჯგუფს - დევნილებს. შესაბამისად მომზადდა საკონსტიტუციო სარჩელი და კანონპროექტი „საარჩევნო კოდექსში“ დისკრიმინაციული ნორმის აღმოფხვრის მიზნით (იხ. კანონპროექტი).

ასევე, აჭარაში რელიგიურ ორგანიზაციებთან შეხვედრის დროს პრობლემად დასახელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს/გაერთიანებებს არ ეძლევათ შესაძლებლობა აუქციონის გზით შეიძინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (იხ. კანონპროექტი).

1. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული დისკრიმინაციული ნორმის შესახებ

მიგვაჩნია, რომ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი დისკრიმინაციული ნორმაა. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, მოიპოვონ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი და ისარგებლონ ამ სტატუსის მქონე პირთათვის დადგენილი ბენეფიტებითა და შეღავათებით. ჩვენი აზრით, აღნიშნული ჩანაწერი საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს (უცხოელებს).

როგორც განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მიღების მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის შეღავათების დაწესების გზით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ხოლო მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად, კანონი ადგენს შეღავათებს.

კანონის ავტორთა განცხადებით, აუცილებელი გახდა ქმედითი ნაბიჯების განხორციელება იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობა, ცხოვრების დონის ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობით დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

მიუხედავად დეკლარირებული მიზნისა, კანონი სუბიექტებად მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს მოიაზრებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამგვარად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე - მიზანს.“ *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ. 4)*

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „თანასწორობის მიზანს არ წარმოადგენს ყველა პირსა და პირთა ჯგუფს შორის უნივერსალური თანასწორობის მიღწევა, მათი ერთ სიბრტყეში ნიველირება. კონსტიტუციის მე-14 მუხლში დაცული ძირითადი უფლება არსებითად თანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობის გარანტიაა.“ *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის #2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჯამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).* სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ „თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთიანი შესაძლებლობების გარანტირებას“ *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ)*

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ, კონსტიტუციის 47-ე მუხლზე დაყრდნობით,

რომელიც საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე კონსტიტუციური უფლებების გავრცელების ფარგლებს განსაზღვრავს, საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რომ საქართველოში მცხოვრები უცხოელები საზოგადოების განუყოფელი ნაწილი არიან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის #2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 43), შესაბამისად, კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად ვრცელდება, თუ საწინააღმდეგო თვით კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-93).

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება.“ ამასთან, „დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის #2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-6).

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის ჩანაწერი „სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შემღებობისდაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-20)

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და უცხო ქვეყნის მოქალაქეები თანაბრად მონაწილეობენ მაღალმთიანი რეგიონების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესში, რისი ხელშეწყობაც კანონით დადგენილი შეღავათების მიზანს წარმოადგენს. შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე შეღავათების გაუვრცელებლობით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირებს უთანასწოროდ ეპყრობა, რითაც არღვევს არა მხოლოდ კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას, არამედ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებულ სოციალური სახელმწიფოს პრინციპსაც.

რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს.გაუქმდეს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი,

რომელიც მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთათვის სტატუსის მინიჭების წინაპირობად საქართველოს მოქალაქეობას ადგენს.

2. “საქართველოს საარჩევნო კოდექსში” დისკრიმინაციული ნორმის/ნორმების არსებობა

საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის მე-19 ნაწილის და 65-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამომრჩეველი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი) უფლებამოსილია არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის/პასპორტის პარალელურად საუბნო საარჩევნო კომისიის ამომრჩევლის რეგისტრატორს წარუდგენს დევნილის მოწმობას. მხოლოდ ამ ორი დოკუმენტის ერთობლივად წარდგენის შემთხვევაშია საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილი ამომრჩეველთა სიის საფუძველზე ამომრჩეველზე (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირზე) გასცეს ბიულეტენი (ბიულეტენები) და სპეციალური კონვერტები.

მითითებული ნორმები, ისეთ მოწყვლად ჯგუფს, როგორც არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები, საქართველოს სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს.

საქართველოს ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირები - დევნილები - რომლებიც, სარგებლობენ პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობით აღარ იქნებიან ვალდებულნი ხმის მიცემის პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიას (ამომრჩეველთა რეგისტრატორს) პირადობის ელექტრონულ მოწმობასთან ერთად დამატებით წარუდგინონ დევნილის მოწმობა.

შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილი იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირებზე - დევნილებზე - ბიულეტენი (ბიულეტენები) და სპეციალური კონვერტი გასცეს მხოლოდ ელექტრონული პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, დამატებით დევნილის მოწმობის წარდგენის მოთხოვნის გარეშე.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ხმის მიცემის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ელექტრონული პირადობის მოწმობით სარგებლობენ არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან საქართველოს ხმის მიცემის უფლების მქონე ელექტრონული პირადობის მოწმობით მოსარგებლე სხვა მოქალაქეებთან მიმართებით. ნორმები პირებს აკისრებს დოკუმენტების წარდგენის ზედმეტ ტვირთს და ვალდებულებას.

საკონსტიტუციო სასამართლო კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „აღნიშნული პრინციპი მოიცავს ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის სპექტრს, რათა მოხდეს თანაბარ პირობებსა და გარემოებებში მყოფი ინდივიდებისათვის თანაბარი პრივილეგიების მინიჭება და თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრება.“ (საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილება - „ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლავგილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“)

“საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ” საქართველოს კანონის 2011 წლის 24 ივნისის ცვლილებით პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში გაუქმდა მისამართის სავალდებულო გრაფა. („საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #232, 30/07/1996).

ცვლილების მიზანი იყო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პირის რეგისტრაცია და პირადობის მოწმობის გამოცვლა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომხდარიყო. კანონის ცვლილებამდელი რედაქცია პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის გავლას ტერიტორიულ ორგანოში პირდაპირ უკავშირებდა პირადობის მოწმობის ცვლილების აუცილებლობას.

საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლი ამომრჩეველთა ერთიანი სიის და მისი ფორმირების წესს განსაზღვრავს. წინამდებარე მუხლის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისას სხვა მონაცემებთან ერთად მასში შეიტანება ამომრჩეველთა: (გ) მისამართი - საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან ელექტრონული პირადობის მოწმობის შემთხვევაში სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, ასევე (ე) ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის აღინიშნება დროებითი საცხოვრებელი მისამართი).

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.“

ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება სხვადასხვა უწყებებიდან მიწოდებული ინფორმაციის, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ან/და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ გადაცემული მონაცემების საფუძველზე (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #5636-რს, 10/01/2012).

თავის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ან მის სისტემაში შემავალი ორგანო აღრიცხავს დევნილთა შესახებ ინფორმაციას (დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, დევნილის რეგისტრაციის ადგილი, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და ა.შ.), წყვეტს დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევის და აღდგენის საკითხებს და გასცემს დევნილის მოწმობას.

დევნილის მოწმობაში სხვა პერსონალურ მონაცემებთან ერთად, რაც ასევე მითითებულია პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), აღირიცხება

დევნილად რეგისტრაციის ნომერი, დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ადგილი იძულებით გადაადგილებამდე) და დევნილის საცხოვრებელი ადგილი (რეგისტრაციის ადგილი) (პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის, დევნილთა რეგისტრაციის და დევნილთა მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #287, 19/07/2013).

საარჩევნო კოდექსის წინამდებარე ნორმებით დევნილებისთვის გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებები გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება გამართლებული ყოფილიყო. ელექტრონული პირადობის მოწმობის შემოღებამდე საქართველოს ყველა მოქალაქე სარგებლობდა ორ გვერდიანი პირადობის მოწმობით სადაც, როგორც აღინიშნა მითითებული იყო მოქალაქის მისამართიც. ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო მიზნებისთვის პირადობის ძველი მოწმობის გამოყენებისას სახელის, გვარის და პირადი ნომრის პარალელურად გადამოწმებად ინფორმაციას წარმოადგენდა ამომრჩევლის რეგისტრაციის მისამართი (ყველა ეს ინფორმაცია მითითებული იყო, როგორც პირადობაში, ასევე საარჩევნო სიაში). დევნილებთან მიმართებაში ძველი პირადობის გამოყენებისას გამართლებულად შეიძლება მივიჩნიოთ დამატებით დევნილის მოწმობის წარდგენის ვალდებულება, ვინაიდან ძველ პირადობაში დევნილებს რეგისტრაციის მისამართი ჰქონდათ (აქვთ) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ანუ ადგილი რომლის იძულებით დატოვებაც მოუხდათ. ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო კანონმდებლობის მიზანი არის გადაამოწმოს დევნილის ფაქტობრივი მისამართი, რომლის მიხედვითაც ხდება დევნილ ამომრჩეველთა საარჩევნო სიაში შეყვანა.

ახალი, ელექტრონული პირადობის მოწმობის შემთხვევაში კი მივიღეთ სიტუაცია, როდესაც მისი საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება გამორიცხავს ხმის მიცემის პროცესში პირის რეგისტრაციის მისამართის გადამოწმების შესაძლებლობას, ვინაიდან მისამართი ელექტრონულ პირადობაში აღარ ფიქსირდება. მაგალითად, თუ საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დასრულებიდან არჩევნების გამართვის დღემდე შეიცვლის რეგისტრაციის მისამართს მას მაინც შეეძლება ხმა მისცეს ძველი მისამართის მიხედვით. საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის თანახმად ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემების ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობას და ამ ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შესაბამისობას. შესაბამისად, ის ინფორმაცია რაც ელექტრონულ პირადობის მოწმობაში არ ფიქსირდება (რეგისტრაციის მისამართი) რეგისტრატორის მიერ ვერ შემოწმდება. გამოდის, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობით ხმის მიცემისას საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებისთვის არსებითი არ არის პირის რეგისტრაციის ადგილი ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შემდეგ. რეგისტრაციის და დევნილების შემთხვევაში, მათ ფაქტობრივ მისამართს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სიის ფორმირების პროცესში.

დევნილთა შემთხვევაში ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციისთვის წინასწარ არის ცნობილი დევნილის როგორც რეგისტრაციის, ისე მისი

ფაქტობრივი მისამართი. შესაბამისად, არც ხმის მიცემის უფლების მქონე იმ დევნილებს, რომლებიც ელექტრონული პირადობის მოწმობით სარგებლობენ არ უნდა ჰქონდეთ ვალდებულება საარჩევნო უბანზე პირადობის ელექტრონული მოწმობასთან ერთად, დამატებით წარადგინონ დევნილის მოწმობა.

რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 63-ე მუხლის მე-19 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

19. საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენსა (ბიულეტენებსა) და სპეციალურ კონვერტებს გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისათვის, გარდა პირისა ვინც სარგებლობს პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობით, – ასევე, დევნილის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად) წარდგენის შემთხვევაში.

2. 65-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო, და ამომრჩეველთა რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი, გარდა იმ პირისა ვინც სარგებლობს პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობით, – დევნილი – აგრეთვე დევნილის მოწმობას. ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემების ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობას და ამ ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შესაბამისობას. შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა რეგისტრატორი ახორციელებს ამომრჩევლის მარკირებას და ხელს აწერს ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფაში, რის შემდეგაც ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღებას. საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი ხელს აწერს მის/მათ უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენს/ბიულეტენებს ამოწმებს სპეციალური ბეჭდით;

3. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში დისკრიმინაციული ნორმის არსებობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ (მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი) დისკრიმინაციული

ნორმის/ნორმების არსებობა. კანონის წინამდებარე ნორმების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გზით შემძენი შეიძლება იყოს „...საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოს, სხვა სუბიექტის ან ხელისუფლების ორგანოსა და სხვა სუბიექტის მიერ ერთობლივად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი...“.

ასევე, ამავე კანონის (მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით, ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს საკუთრებაში გადასცემს ქონებას ამ ქონების ტოლფასი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.“

შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციები, განსხვავებით ა(ა)იპ-ად რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციებისგან, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას პრივატიზების გზით შეიძინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონება, ასევე მათ ეზღუდებათ შესაძლებლობა გაუცვალონ ქონება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

იმავე ნორმის (მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი) თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას - ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია შეიძლება იყოს რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების შემძენი. ხოლო, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, რელიგიური ორგანიზაციებიდან, ქონება უსასყიდლოდ შეიძლება გადაეცეს, მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. შესაბამისად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია უპირატეს მდგომარეობაშია სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით.

ცვლილებების არსი მდგომარეობს იმაში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს, კონფესიებს, მიეცეთ შესაძლებლობა იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების და გაცვლის გზით შემძენი სუბიექტები. ამასთან, ყველა რელიგიურ ორგანიზაციას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება შეიძინონ პირდაპირი მიყიდვის და უსასყიდლოდ გადაცემის გზით.

2011 წლის 5 ივლისის სამოქალაქო კოდექსის ცვლილებით რელიგიურ გაერთიანებებს მიეცათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (სსიპ) რეგისტრაციის უფლება. პარალელურად მათ დარჩათ შესაძლებლობა საკუთარი საქმიანობა ეწარმოებინათ როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს - ა(ა)იპ-ებს.

სამოქალაქო კოდექსის 1509¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, რელიგიური გაერთიანება შეიძლება დარეგისტრირდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რაც არ ზღუდავს მის უფლებას დარეგისტრირდეს, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ან საქმიანობას ეწეოდეს როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი.

იმავე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების თანახმად, კი სსიპ-ად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, უფრო მეტიც, მათი რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს ა(ა)იპ-ების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი, ხოლო უფლებამოსილება განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის პირველი კარის მეორე თავით. ეს უკანასკნელი არეგულირებს, მათ შორის, ა(ა)იპ-ის უფლებამოსილებებს.

შესაბამისად, რელიგიური გაერთიანებები, მათი საქმიანობის სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, წარმოადგენენ კანონის წინაშე არსებითად თანასწორ პირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რელიგიური ორგანიზაციები, მათი საქმიანობის სამართლებრივი ფორმის მიუხედავად არსებითად თანასწორნი არიან, თუმცა კანონში არსებული ჩანაწერი მათ უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს .

მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვები „**კერძო სამართლის**“ მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების პრივატიზების გზით შექმნილი შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს, განსხვავებით იმ რელიგიური ორგანიზაციებისგან ვინც საკუთარ საქმიანობას წარმართავენ, როგორც არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები, ართმევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გზით შექმნილი შესაძლებლობას და აყენებს მათ უთანასწორო მდგომარეობაში.

სამოქალაქო კანონმდებლობის ჩანაწერი, რელიგიურ ორგანიზაციებს არ ართმევს კერძო სამართლის იურიდიულ პირებად - ა(ა)იპ-ებად რეგისტრაციის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, მათ შეეძლებოდათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გზით შექმნა, თუმცა ეს გარემოება არ შეიძლება განხილულ იქნეს აბსოლუტური შეზღუდვის საპირწონედ. ვინაიდან, იქმნება შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო, ერთი მხრივ, რელიგიურ ორგანიზაციებს აძლევს უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიონ საქმიანობის სამართლებრივი ფორმა, თუმცა, მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული ჩანაწერით უზღუდავს უფლების ჯეროვანი რეალიზების შესაძლებლობას. მითითებული ნორმა აიძულებს მათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გზით შესაძენად რეგისტრირებულნი იყვნენ როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის მ-4 პუნქტის თანახმად სამინისტრო (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით, ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს საკუთრებაში გადასცემს ქონებას ამ ქონების ტოლფასი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

შესაბამისად, აღნიშნული ნორმა ასევე, აწესებს განსხვავებულ მოპყრობას თანასწორ სუბიექტებს, სსიპ-ად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებსა და ა(ა)იპ-ად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს შორის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ პუნქტების თანახმად, ამავე კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან:

- საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- სამოქალაქო კოდექსის 1509¹ მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები.

ამ უკანასკნელით (მუხლი 1509¹) კი დადგენილია რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი. მათ აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, რაც არ ზღუდავს მათ უფლებას საქმიანობა წარმართონ და დარეგისტრირდნენ, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა გააჩნდეთ იგივე სამართლებრივი სტატუსი, რაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას. შესაბამისად, ეს უკანასკნელი და სხვა რელიგიური ორგანიზაციები, მათ შორის, რეგისტრირებულნი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენენ რელიგიურ ორგანიზაციებს და ამავდროულად არსებითად თანასწორ პირებს.

ამ შემთხვევაში სახეზეა დიფერენცირება რელიგიური ნიშნით. აღნიშნული ნორმა კი მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას აძლევს შესაძლებლობას პირდაპირი მიყიდვის გზით იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების შემძენი სუბიექტი.

მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი „ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება აქვს ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს, აგრეთვე, **საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას...**“

ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს არსებითად თანასწორი პირების, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციების შორის უთანასწორო მოპყრობას რელიგიური ნიშნით. სადავო ნორმა მხოლოდ ერთ რელიგიურ ორგანიზაციას ანიჭებს უფლებას იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების, უსასყიდლოდ გადაცემის გზით, შემძენი სუბიექტი.

რეკომენდაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოს, სხვა სუბიექტის ან ხელისუფლების ორგანოსა და სხვა სუბიექტის მიერ ერთობლივად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას – ასევე, რელიგიურ გაერთიანებებს ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი.

2. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს საკუთრებაში გადასცემს ქონებას ამ ქონების ტოლფასი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ. მისი გადაცემის წესი და პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტით.

3. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, უფლება აქვს ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს, აგრეთვე, რელიგიურ გაერთიანებებს, რის თაობაზეც უმაღლეს საბჭოს არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას.

საქართველოს კანონი

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32(39), 1999 წელი, მუხ. 166) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 73-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც ადმინისტრაციულ ორგანო თავად უზრუნველყოფს თარგმანის განხორციელებას.

1. 73-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4 ნაწილი

4. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოების მიზნებისათვის განახორციელოს არასახელმწიფო ენაზე წარდგენილი განსახილველი განცხადების ან სხვა დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე, ასევე მიღებული გადაწყვეტილების განცხადების ავტორისათვის გასაგებ ენაზე თარგმნა.

მუხლის 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

**„საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

სახელმწიფო ენის ცოდნა ეთნიკური უმცირესობებისთვის სამოქალაქო პროცესებში ინტეგრირებულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია, თუმცა პრობლემას წარმოადგენს სწორედ ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობები ვერ ფლობენ სათანადო დონეზე ქართულ ენას, რაც ერთი მხრივ, იწვევს მათ საინფორმაციო იზოლაციას, მეორე მხრივ კი ართულებს მათ ურთიერთობას ხელისუფლების ორგანოებთან, სადაც საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო ენაზე ხორციელდება. დამატებით ბარიერს ქმნის ის ფაქტი, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირი ვალდებულია ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც არასახელმწიფო ენაზეა შედგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის სახით წარადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში, რაც მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე მცირდება ადმინისტრაციულ ორგანოებში მიმართვიანობის სიხშირე და რაოდენობა ეთნიკური უმცირესობების მხრიდან. ცალკე პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოში, სადაც უმრავლესობას ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ, წარმოება არასახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად მნიშვნელოვანია გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მოხსნის დაბრკოლებებს იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, ამავდროულად კი ხელს შეუწყობს მათ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის გაზრდას. ამისათვის საჭიროა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შევიდეს ცვლილებები, რომელთა საფუძველზე არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება მოხდება უსასყიდლოდ ეთნიკური უმცირესობებისთვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილებები შედის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომელიც ყალიბდება შემდეგნაირად:

თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანო თავად უზრუნველყოფს თარგმანის განხორციელებას.

ამავდროულად 73-ე მუხლს ემატება 4 ნაწილი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას ადმინისტრაციული წარმოების მიზნებისათვის განახორციელოს არასახელმწიფო ენაზე წარდგენილი განსახილველი განცხადების ან სხვა დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე, ასევე მიღებული გადაწყვეტილების განცხადების ავტორისათვის გასაგებ ენაზე თარგმნა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირობათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: